თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი!

№11
ორშაბათი, 29 იანვარი 1990 წ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი კატეგორიულად უცხადებს საქართველოს მარიონეტულ ხელისუფლებასა და მთავრობას:

როგორც კი ერთი რომელიმე პირის მიმართ, იმ გაფიცული ქართველი ახალგაზრდებიდან, რომლებიც უარს ამბობენ საოკუპაციო ჯარში სამსახურზე და გამოქცეულები არიან იმპერიის არმიის რიგებიდან ხელისუფლება გამოიყენებს რეპრესიებს, საქართველოს ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი და მასში შემავალი ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია გამოაცხადებს საქართველოში ეროვნულ დაუმორჩილებლობას და პოლიტიკურ იერიშს მიიტანს ხელისუფლებასა და მთავრობაზე.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია:
ირაკლი წერეთელი
თეიმურაზ სუმბათაშვილი
თორნიკე ფიფია

წმინდა ილია მართლის საზოგადოება:
ირაკლი ბათიაშვილი
ვაჟა ადამია
გურამ გოგბაიძე

საქართველოს ჰელსინკის კავშირი:
ზვიად გამსახურდია
ავთანდილ რცხილაძე
თემურ ქორიძე

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია:
გიორგი ჭანტურია
ირინა სარიშვილი
მამუკა გიორგაძე

საქართველოს ეროვნული ღირსების კავშირი:
ტენგიზ დიხამინჯია
ვიზო კორძაძე
ჯუმბერ ხუნდაძე

საქართველოს მონარქისტული პარტია:
თემურ ჟორჟოლიანი
გია ხონელიძე
იოსებ ბარათაშვილი

ეროვნული სამართლიანობის პარტია:
ირაკლი მელაშვილი
ირაკლი შენგელაია
ზაზა ზამთარაძე

საქართველოს დემოკრატიული პარტია:
თენგიზ შარმანაშვილი
გიორგი ზუმბაძე

ქრისტიან დემოკრატიული ასოციაცია:
ირაკლი კაკაბაძე
შალვა ვასაძე
დათო გამყრელიძე



თბილისში წარმატებით გრძელდება ბოლშევიკების ძეგლების დამხობის პროცესი. უკანასკნელ დღეებში ჩამოგდებულ იქნა № 1 ჩეკისტის ძერჟინსკის, ნეხვიჭამია კომუნისტის კბმოს და ქართული კომკავშირის „პირველი მერცხლის" მნელაძის ძეგლები.

სურათზე: ძერჟინსკის ძეგლის ჩამოგდების ცერემონიალი.

დ. გორდელაძის ფოტო



ეროვნული მოძრაობის მოთხოვნები

I. ეროვნული საჯარისო შენაერთები ეროვნული დროშით და განსხვავებული ფიცით (პირველ რიგში ბათუმში).
2. ოზგანის და კობახიას გამოწვევა დეპუტატობიდან, ასევე სხვა ანტიქართველების.
3. ანქვაბის, კაპბას, ვასაძის, ემირიძის, კაბულოვის, ფიდანიანის, ნოდარიშვილის, მარუაშვილის, სააკიანის და სხვათა საკითხების სასწრაფოდ გადაწყვეტა (მარნეულში სინჯიაშვილის და სხვეთის).
4. ჩერნობილის ხორცის გატანა საქართველოს ფარგლებს გარეთ.
5. საადგილმამულო ფონდისათვის შენობის მიცემა.
6. მონკავშირში მდგომარეობის ნორმალიზაცია, თოფების დაბრუნება მოსახლეობისათვის.
7. ფოთის თავისუფალ ზონად გამოცხადების აკრძალვა.
8. ვ. ვეკუას მკვლელობის საქმის გადმოტანა თბილისში.
9. ნ. იმნაძეზე თავდასხმების შეწყვეტა, თავდამსხმელთა დასჯა.
I0. ქართველი პატიმრების გაყვანის შეწყვეტა ბაქოსა და რუსეთში (საერთოდ, საქართველოს ფარგლებს გარეთ), წაყვანილთა დაბრუნება საქართველოში (რ. გერლიანის დაბრუნება ხაბაროვსკიდან).
II. სომხეთში, ტიუმენში, მოსკოვში (მეტროს სადგურებისთვის(, სლავუტიჩში და სხვაგან სამშენებლო მასალების გატანის შეწყვეტა, ჯავახეთში ჯავახთათვის სახლების აშენება.
I2. ცხინვალის და ჯავის რაიონებში სვანების სასწრაფოდ ჩასახლება.
I3. გუდაურ-კობის საგზაო გალერეების მშენებლობის დაჩქარება. აკრძალვა ტრაქტორისტთა საგზაო ყაჩაღობისა.
I4. როკის გვირაბის გაუქმება.
I5. უკანონო ავტონომიების გაუქმება (პირველ რიგში აჭარის და "სამხრეთ ოსეთის").
16 მიწის არაქართველთა მიერ იჯარით აღების აკრძალვა.
17 სამხედრო კომისარიატში საკადრო პოლიტიკის შეცვლა.
18 სამხედრო კომისრის მოადგილედ ქართველის დანიშვნა.
19 მარნეულში აღმასკომის თავმჯდომარედ ქართველის დანიშვნა.
20 თბილისში, პ...იაშვილის ქუჩაზე რუსული სკოლის გახსნის აკრძალვა.

ბაქო.
მოვლენების შესახებ

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ვითარება კვლავ ძალზედ დაძაბულია. რესპუბლიკის სახალხო ფრონტის "აზადლიგის" /თავისუფლება/ აქტივისტები რადიო "თავისუფლების" აზერბაიჯანულ რედაქციას მიუნხენში ატყობინებენ, რომ ბაქოში საგანგებო ვითარების შემოღებამ რესპუბლიკა მეორე ავღანეთად გადააქცია. სახალხო ფრონტის ერთ-ერთმა აქტივისტმა იუსიფ სამედოღლიმ განაცხადა, რომ სამხედრო ხელისუფლებამ განზრახ ააფეთქა რესპუბლიკის ტელევიზიის შენობის ერთ-ერთი ძირითადი ბლოკი იმ მიზნით, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მიმართავდა ირანში მცხოვრებელ აზერბაიჯანელებს. ამავე მიზნით მწყობრიდან გამოიყვანეს რადიოკომიტეტის ის სტუდია, რომლიდანაც მიმდინარეობს გადაცემები თურქულ, არაბულ და სპარსულ ენებზე ახლო და ცენტრალური აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის.

- -

შემდეგ იუსიფ სამედოღლიმ გვაცნობა, რომ სამხედროების მიერ დახვრეტილ პირებს იგივე სამხედროები ხელში უდებდნენ ავტომატებს, თოფებს, ცივ იარაღს. ყოველივე ამას გულმოდგინედ იღებდნენ სამხედრო ფოტოკორესპონდენტები, რათა ხელთ ჰქონოდათ მოსახლეობის მიერ ჯარისკაცებზე თავდასხმის "დამამტკიცებელი საბუთები".

მანვე განაცხადა, რომ მიუხედავად სისხლიანი ანგარიშსწორებისა, გრძელდება მიტინგები მთავრობის სახლთან და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციები.

- -

ცნობები ბაქოდან მოგვაგონებს ცნობებს ავღანეთიდან, სადაც, როგორც წლობით "გვატყობინებდა" ცენტრალური პრესა, "ნათელი, ცისფერი ცაა" და "ხალხი მიესალმება საბჭოთა ჯარისკაცებს - განმათავისუფლებლებს".

ბაქოში "განმათავისუფლებელი ჯარისკაცები" დღე და ღამე ესვრიან ქალაქის მცხოვრებლებს, გენერალიტეტი მათ აწვდის ინფორმაციებს იმის შესახებ, რომ ქალაქის ყველა მცხოვრები - ადამიანის სამოსელში გახვეული მხეცია.

ცნობა იმის შესახებ, რომ საკომენდანტო საათი მოქმედებს 23-დან 4სთ-მდე, სიცრუეა. კომენდანტის საათი ძალაშია მთელი დღე-ღამის განმავლობაში. სამხედროებს აქვთ უფლებამოსილება ნებისმიერ დროს შეიჭრან სახლებში, გახსნან ცეცხლი.

- -

/დასასრული მე-2გვ./

დროება

ეროვნული ბიბლიოთეკა

/დასასრული/

მოსკოვი. ოსტანკინოში, ტელეცენტრის შენობასთან ჩატარდა მოსკოვში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა მიტინგი. მომიტინგეებმა პროტესტი განაცხადეს ბაქოში ჯარების შეყვანის გამო. გაისმოდა ლოზუნგები: "გაუმარჯოს ერთიან, თავისუფალ აზერბაიჯანს". მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები ჩატარდა აგრეთვე სტამბულში, ანკარაში, თეირანში, თავრიზში. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა იილმაზმა პარლამენტში გააკეთა განცხადება აზერბაიჯანში ადამიანის უფლებათა დარღვევის თაობაზე. დედაქალაქის და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მცხოვრებლები მასიურად წვავენ პარტიულ და კომკავშირის ბილეთებს. მსგავსმა საპროტესტო აქციებმა მოიცვა რესპუბლიკის პრაქტიკულად ყველა დასახლებული პუნქტი.

სახალხო ფრონტის აქტივისტების ცნობით 23 იანვრის ღამეს ბაქოს ზღვიდან ცეცხლი გაუხსნა მძიმე არტილერიამ. ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობას შორის არის ახალი მსხვერპლი. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კრემლს მიმართა მოთხოვნით, ორი დღე-ღამის განმავლობაში გაიყვანონ ჯარი და გააუქმონ საგანგებო მდგომარეობა. მიმართვაში ნათქვამია, რომ თუ ეს მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, აზერბაიჯანი გავა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. დასავლეთელი კორესპონდენტები მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ კრემლი იღებს ზომებს ბაქოში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის გასაწონასწორებლად /?!/. დასავლეთელი მიმომხილველები ამ დღეებს "ყველაზე კრიტიკულს" უწოდებენ გორბაჩოვის მოღვაწეობაში. რას მოიმოქმედებს გენერალური მდივანი: გაიყვანს ჯარებს, თუ უფრო მტკიცედ დააწვება რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ჩასახშობად შემართული სამხედრო მანქანის ბერკეტს?

- -

გუშინ, გვიან ღამით, რადიო "თავისუფლების" აზერბაიჯანულ რედაქციაში კვლავ დარეკეს სახალხო ფრონტის აქტივისტებმა. მათ აუწყეს მსოფლიო საზოგადოებრიობას იქ მიმდინარე მოვლენების მიმართ რესპუბლიკის ქართული მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ. კერძოდ, აქტივისტებმა აღნიშნეს, რომ ქართველი ჯარისკაცები უარს ამბობენ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ დამსჯელ ოპერაციებში მონაწილეობაზე. აქტივისტებმა მადლობა გამოუცხადეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ მთელ ქართულ მოსახლეობას, და მთელ ქართველ ხალხს, რომელიც მთელი ძალებით ეწინააღმდეგება საქართველოს ჩარევას ამიერკავკასიაში მიმდინარე დრამატულ მოვლენებში. აი, რა თქვა აქტივისტმა: "საქართველოს და ქართველ ხალხს ესმის, რომ ყველაფერი რაც ხდება აზერბაიჯანში, წარმოადგენს კრემლის მიერ შემუშავებულ საზარელ სქემას, რომლის მიზანია სამივე რესპუბლიკა სისხლიან სამხედრო პოლიგონად გადააქციოს". სომხეთთან ურთიერთობის შესახებ მან განაცხადა: "ჩვენ შეგვიძლია დავალდებულნი ვართ დავიწყოთ მოლაპარაკება, ოღონდ იმ მესამე ძალის ჩაურევლად, რომელიც, მიზნად ისახავს რესპუბლიკებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების გათელვას, ტანზე იცვამს "ერთაშორის ურთიერთობათა მშვიდობიანად მომგვარებლის" მანტიას. კრემლის პოლიტიკა მთელი 72 წლის მანძილზე, ნათელს ხდის, რომ "გათიშე და იბატონე" პრინციპი ყველაზე უკეთ შეესაბამება საბჭოთა ტოტალიტარიზმის ინტერესებს.

ამიერკავკასიის ხალხთა საერთო ბედი და მათივე სიბრძნის წყალობით, უკანასკნელ ხანს ეს პოლიტიკა კრახს განიცდის.

ყალიბდება პროცესები, რომლებიც ხალხს წაიყვანს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზით. ამის დამადასტურებელია აზერბაიჯანში უკანასკნელ ხანს მომხდარი ამბები.

ისღა დაგვრჩენია, ვუსურვოთ სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხს, შერიგების იმ გონივრული გზით ევლოს, რომელიც მათ თავისუფლებამდე და დამოუკიდებლობამდე მიიყვანს.

რადიო "თავისუფლების" აზერბაიჯანული რედაქცია

მოამზადა აბესალომ წერეთელმა

საბჭოთა იმპერიის საოკუპაციო ჯარიდან გამოქცეული ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ აზერბაიჯანსა და სომხეთში მეზობელი ერების დასაშოშმინებლად და სისხლის საღვრელად, ფეხქვეშ თელავენ საბჭოთა სამხედრო ამუნიციას

დავით გორდელაძის ფოტო

ნუთუ ახალი რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი ?

უკანასკნელ ხანს საბჭოთა იმპერიაში შემავალი დაპყრობილი ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა თავისი სიძლიერით მთელ მსოფლიოში ფართო რეზონანსი მოახდინეს. დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები სულ უფრო ხშირად აშუქებენ ბალტიის ქვეყნების, მოლდავეთის, უკრაინის და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ცხრა აპრილმა მსოფლიოს დაანახა ქართველი ხალხის ნება, რომ უკომპრომისო და ამავე დროს სამართლიან ბრძოლას აწარმოებს კრემლის იმპერიასთან ეროვნული დამოუკიდებლობისთვის. 23 აგვისტოს ასევე მთელი მსოფლიოს წინაშე წარმოჩნდა ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ხალხების ერთობლივი გამოსვლა კრემლის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ. ახლა უკვე არავინ მოტყუვდება საბჭოთა იმპერიის ჰიმნის დემაგოგიური სიტყვებით, რომ საბჭოთა კავშირი არის "თავისუფალ ერთა მძლე კავშირი, ძმური".

რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის მიერ დაპყრობილმა ერებმა შექმნეს პოლიტიკური პარტიები, სახალხო ფრონტები, რომლებიც იბრძვიან საკუთარი ქვეყნების განთავისუფლებისათვის. ამ ორგანიზაციებმა მრავალჯერ მიმართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ევროპის საბჭოსა თუ პარლამენტს მხარდაჭერისათვის, მაგრამ სამწუხაროდ, უმეტესად უშედეგოდ. ზოგიერთი ამერიკელი სენატორის გამოხმაურების გარდა საერთაშორისო ორგანიზაციები და დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები ყურს იყრუებენ და ცივ კედლად აღმართულნი თითსაც არ ანძრევენ საბჭოთა იმპერიის მიერ დაპყრობილი ერების განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდასაჭერად. არადა, ვხედავთ, თუ რა აქტიურად არიან ჩაბმულნი ნამიბიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ლიბანის, პალესტინის და სხვა ხალხების ბედის პროგრესულად გადაწყვეტაში. გაერო-ს გენერალური ანსამბლეას დეკლარაციაში "კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ" ჩაწერილია, რომ "აღიარებს ყველა დამოკიდებული ხალხის მხურვალე ლტოლვას თავისუფლებისაკენ და ამ ხალხთა გადამწყვეტ როლს დამოუკიდებლობის მიღწევაში". იგი აცხადებს, რომ "ხალხთა დამორჩილება უცხოური უღლისა და ბატონობისადმი და მათი ექსპლოატაცია წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებათა უარყოფას, ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და აბრკოლებს თანამშრომლობის განვითარებას და მშვიდობის დამყარებას მთელს მსოფლიოში". ასეთი წესდების მქონე ორგანიზაცია გულგრილად უყურებს ერთა განმათავისუფლებელ ბრძოლას საბჭოთა იმპერიაში. უფრო მეტიც, ის თანამშრომლობს ამ იმპერიასთან და უშიშროების საბჭოში ღირსეულ წევრად ჰყავს მიღებული.

ყოველივე ზემოთ თქმული, ჩვენში ბადებს შემდეგ ეჭვს: ხომ არ არის დიდ, ზემძლავრ სახელმწიფოებს შორის ახალი ფარული მოლაპარაკება, რომლის გამოც საბჭოთა იმპერიის დანაშაულებრივ ქმედებებს, ჩადენილს დაპყრობილი ერების მიმართ /გენოციდი, აკრძალული ქიმიური იარაღის გამოყენება და სხვა/ ვერ გმობენ და

ვერ ასამართლებენ? ხომ არ არის გავლენის სფეროების ახალი გადანაწილება? ხომ არ არის სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს ამოფარება და ერთმანეთს მიკუთვნებულ გავლენის სფეროებში ხელგახსნილობის უფლების მინიჭება? და ბოლოს, ხომ არ არის შიში საბჭოთა სამხედრო მანქანის მიმართ და აქედან გამომდინარე სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირის პოლიტიკა? უკანასკნელი მოვლენები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ხდება, კერძოდ, სოციალისტუ-

/დასასრული მე-3 გვ./

საბჭოთა იმპერიული პოლიტიკით აღშფოთებული აზერბაიჯანელები არღვევენ საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის აზერბაიჯანის მონაკვეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი სისტემის რღვევა, მარქსისტულ-ლენინური დიქტატორული რეჟიმების დამხობა, რომლებიც საბჭოთა იმპერიამ წარმოშვა და თავადვე მფარველობდა, ამჭკიცებს, რომ ვერაფერი გადაეღობება ხალხთა განთავისუფლების ისტორიულ კანონზომიერებას. მიუხედავად მ.ს.გორბაჩოვის განცხადებისა სკკპ ცკ-ს პლენუმზე /1989წ. 26 დეკემბერი/, რომ "ამჟამინდელი პარტიული, სახელმწიფო ხელმძღვანელობა არ დაუშვებს საკავშირო სახელმწიფოს დაშლას," თამამად შეიძლება ითქვას: საბჭოთა იმპერიის აღსასრული კარზეა მომდგარი. იგი დგას პოლიტიკური და ეკონომიკური კატასტროფის წინაშე და ქართული ეროვნული მოძრაობის მოვალეობაა ღირსეულად, ნაკლები მსხვერპლით დააღწიოს თავი იმპერიის კლანჭებს და აღადგინოს საქართველოს ჭეშმარიტი სუვერენული სახელმწიფო.

გია თვალავაძე

/სედა/

ქვემოთ ვბეჭდავთ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის ბალტიის ქვეყნებისა და უკრაინის შესახებ სპეციალური კომიტეტის წერილს, რომელიც გაეგზავნა აშშ-ს პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს.

ამგვარი წერილი უნდა დაიწეროს საბჭოთა იმპერიის მიერ სხვა დაპყრობილი ერების და მათ შორის ქართველი ხალხის ეროვნული მოძრაობის მხარდასაჭერადაც, რადგან ჩვენი ბრძოლის მიზანიც იგივეა, რაც ბალტიის ხალხებისა. ეს არის ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

ПАЛАТА ПРЕДСТАВИТЕЛЕЙ КОНГРЕССА СОЕДИНЕННЫХ ШТАТОВ СПЕЦИАЛЬНЫЙ КОМИТЕТ ПО БАЛТИЙСКИМ СТРАНАМ И УКРАИНЕ

ПРЕЗИДЕНТУ ДЖОРДЖУ БУШУ
БЕЛЫЙ ДОМ
УЛ. 1600, ПЕНСИЛЬВАНИЯ АВЕНЮ,
ВАШИНГТОН, ОКРУГ КОЛУМБИЯ, 20500

16 ОКТЯБРЯ 1989 ГОДА

Уважаемый Президент Буш,

В течение сорока девяти лет Соединенные Штаты придерживались верной в моральном и юридическом отношении позиции, не признавая насильственной оккупации и аннексии Балтийских государств Советским Союзом. Мы можем гордиться такой политикой. Она согласуется с нашим основополагающим убеждением — с верой в демократию, в права личности и в уважение к международному праву. Прошлогодние драматические события в Балтийских странах подтвердили правоту Америки в ее защите прав Эстонии, Латвии и Литвы на самоопределение. Поэтому мы, нижеподписавшиеся члены Конгресса, убеждены, что сейчас настала пора, когда политика нашего правительства в отношении Балтики должна стать более явной и активной.

Народ Эстонии, Латвии и Литвы отважно предпринял первые шаги к восстановлению своих наций в семье демократических наций-государств. Миллионы балтийцев сплотились в стихийно возникших демократических движениях, заставив коммунистические власти прислушаться к местным требованиям. Так, в Балтийских республиках национальные языки восстановлены теперь в качестве государственных, национальные флаги и гимны разрешены, а Эстония и Литва потребовали себе права распоряжаться всеми своими природными и экономическими ресурсами без центрального контроля со стороны Москвы.

Сейчас, когда народы Балтийских государств борются за создание новых государственных структур, которые служили бы их истинным интересам, жизненно важно, чтобы политика правительства Соединенных Штатов не мешала этим усилиям, направленным на демократизацию в Балтике [разрядка наша. — Ред.]. Нельзя, чтобы в эпоху гласности оказалось, что США поддерживают в Советском Союзе те фракции, которые продолжают притязать на Балтийские страны [разрядка наша. — Ред.]. Нашему правительству следует активно поддерживать именно инициативы, содействующие усилиям балтийских народов.

В момент, когда Ваша администрация приступила к пересмотру отношений между Востоком и Западом, мы призываем Вас дать Государственному Секретарю указание пересмотреть политику Соединенных Штатов в отношении Балтийских государств, придав этому вопросу значение региональной проблемы. Это подтвердило бы вновь, что наше правительство стоит за независимость Балтийских государств. О статусе Балтийских государств Соединенные Штаты и Советский Союз спорят сорок девять лет. Ныне балтийские народы совершают историческое усилие, создавая демократические движения и стремясь вернуть свою независимость мирным и организованным путем.

Мы верим, что Вы согласитесь с нами в том, что расширение демократии в Балтийском регионе будет способствовать укреплению мира на Земле, и ожидаем от Вас действий в защиту этих свободолюбивых народов.

Искренне Ваши

Деннис Хертел,
Сопредседатель Специального Комитета по Балтийским странам и Украине

Дон Риттер,
Сопредседатель Специального Комитета по Балтийским странам и Украине

(Под обращением подписалось более 120 членов Конгресса США.)

◆ ◆ ◆

ღია გარეთ გონებანაღრძოს თანამემამულეებს ანუ ვაი თქვენს პატრონს უბედურს!

ვიცი, წერილის არადელიკატური სათაურის გამო, მავანი და მავანი გამკიცხავს, გამოჩნდებიან ნაირა გელაშვილის მსგავსი, ჩასაფრებული კრიტიკოსები, რომლებიც კიდევ ერთხელ მოგვაკერებენ ნეობოლშევიკების იარლიყს (რაც ჩვენთვის ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა), მაგრამ იმ ხალხს, რომლებიც გაერთიანდნენ სტალინის საზოგადოებაში, რომელთაც განუზრახავთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ფართო პროპაგანდა და "ხალხის მამას" ყოველწლიურად უხდიან დაბადების დღეებს მე სხვა სიტყვებით არ შემიძლია მივმართო. რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ ასეთი პუბლიკაციებით კიდევ უფრო გავაღრმავებთ კონფრონტაციას, ამის შიში ჩემის აზრით უბრალოდ არ უნდა გვქონდეს, რადგან ადამიანები, რომლებიც დღემდე ვერ ერკვევიან ასეთ ელემენტარულ საკითხებში და კერპად ყავთ შერაცხული ფავიანთი სამშობლოს დამპყრობი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას არც გამოადგებიან და ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ, ასეთი დეგრადირებული აზროვნების ხალხი ჩვენს რიგებში არც გვჭირდება.

ჩემო გონებანაღრძობო თანამემამულენო, საქართველო ცნობილია თავისი გმირებით და ასევე არანაკლებ ცნობილი მოღალატეებით, ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი (სტალინი) და რაოდენ სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს დღისაც არ გაგნელებია მისდამი ფანატიკური სიყვარული, ადამიანისადმი, რომელმაც 1921 წლის თებერვალში შემდეგი ხასიათის დეპეშა გაუგზავნა სერგო ორჯონიკიძეს; " მიღებულია თანხმობა, შეუტიე". ასე და ამგვარად მე-11 არმიას სტალინის ბრძანებით საქართველოში შემოუძღვა მისი დაუძინებელი მტერი სერგო ორჯონიკიძე. ასე ხელყვეს ნაძირალა ბოლშევიკებმა სამშობლოს დამოუკიდებლობა, რომელზეც უფრო მაღალი ღირებულება ქვეყნად არ არსებობს, თქვენმა ბელადმა კი იგი სისხლიან სოციალიზმს ანაცვალა, რომელმაც კაცობრიობის განვითარება დაახლოებით ერთი საუკუნით უკან დასწია.

რა გვიყო მე-11 არმიის შემოჭრამ საქართველოში? ჩვენი ტერიტორიების გაჩუქება და ავტონომიურ რესპუბლიკებად და ოლქებად დაყოფა, ოსების, აფსუების და სხვა ათასჯერის ნაძირალების გააქტიურება, რომლებსაც 1918-1921 წლებში ენა ლრმად ჰქონდათ ჩავარდნილი მუცელში, საქართველოს დაემუქრა ასიმილაცია-მშვიდობიანი გადაშენების პერსპექტივა, ახლა გავიხსენოთ რამდენი სისხლი გავიღეთ "დიდი ბელადის" გამოისობით. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ 1921, 1922, 1924, 1937 და შემდგომი წლების ვამპირული რეპრესიები, თუ ეკლესია-მონასტრების ნგრევა, ქართული ინტელიგენციის სრული ლიკვიდირება- გაძევება

თუ.... ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ უბრალოდ აზრი არა აქვს. ახლა ჩამოვთვალოთ რა გაუკეთა ბელადმა თავის სამშობლოს (თუმცა იგი სამშობლოდ რუსეთს თვლიდა) რა და არაფერი პატივცემულო სტალინისტებო, მაშინაც კი, როდესაც მთელი მსოფლიო ბოროტი გენიის ფირხთით იყო განთხმული, მან თითიც კი არ გაანძრია ტაო-კლარჯეთის დაბრუნებისათვის, რომელსაც ღმერთმა უწყის აწი როდის შემოვერთებთ.

ჩვენ, სამართლიანად ვგმობთ ფაშიზმს, მაგრამ გავიწყდებათ, რომ კომპარტია მასზე ბევრად უფრო რეაქციულია. ნაციონალ-სოციალიზმი ჯერ ჩანასახიც არ იყო, როდესაც კომუნისტები მასიურად ანადგურებდნენ ხალხს სა-კონცენტრაციო ბანაკებში. 1917 -1921 წლებში რუსეთში ყოველგვარი ძიებისა და სასამართლოს გარეშე 17 მილიონი ადამიანი იქნა მოკლული.

ომის წინა წლებში გერმანელებს ხელში ჩაუვარდათ ბულგარელი კომუნისტების ლიდერი გიორგი დიმიტროვი, რომელიც გაასამართლეს რაიხსტაგის დაწვის მცდელობის ბრალდებით, მაგრამ ფაქტების არარსებობის გამო იგი გაანთავისუფლეს, როდესაც დიმიტროვი თქვენს "ზელმერთს" მოუყვა ამ ამბავს, მას ირონიულად ჩაეცინა და განაცხადა: "ლიბერალი ფაშისტები, ჩვენ მათ ადგილზე შენ ხომ 24 საათში მოგსპობდითო".

ბატონო სტალინისტებო, საინტერესო ფაქტის მოწმე გავხდი ავბედითი აპრილის მიტინგის დროს, როდესაც გორელების დელეგაცია სტალინის სურათით გვეწვია, მაშინ საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრმა ბატონმა თემურ ქორიძემ მათ კატეგორიულად განუცხადა, რომ თქვენ სტალინის სურათი შეგიძლიათ დაჰკიდოთ საკუთარ ოჯახში, მაგრამ არა იქ სადაც ქართველი ხალხი დამოუკიდებლობისათვის უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებსო, დიახ თქვენს ეროვნულ თვითშეგნებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, მანამ სანამ სტალინის სურათის ნაცვლად აღმაშენებლის, თამარის, იღიას, ქაქუცას და მერაბის სურათებს არ დაჰკიდებთ.

თქვენ არ დასჯერდით ბელადისათვის დაბადების დღის გადახდას და 21 დეკემბერს მორიგ სოსოობაზე უფრო შორს წასულხართ და საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინი" დაგიარსებიათ. შემდეგ კი იღიას "ჩემო კარგო ქვეყანა" და მერაბ კოსტავას საყვარელი "შავლეგო" დაგიჭიქიათ!! ნუთუ ვერ ხვდებით დიღტატორებს როგორ მიყვარხართ პარადოქსულობისაკენ, როგორ გაგდიგთ იგი უკიდურესობიდან უკიდურესობაში.

სულ მაღე აღმათ გამოჩნდებიან თქვენი მიმდევრები, რომლებიც ეცადებიან თქვენს მიერ წამოწყებულ ტრადიციას და სტალინის საზოგადოების შემდეგ ჩამოაყალიბებენ შაჰ-აბასის, მურვან-ყრუს, აღა მაჰმად ხანის, ჯალალედინის და საქართველოს სხვა დამპყრობლების საზოგადოებებს.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ჭეშმარიტ დამცველნო-პროპაგანდისტებო, ნამდვილო ისკრელებო (როგორც თქვენს თავს პროგრამაში უწოდებთ) ნუთუ ველარ შეიგნეთ, რომ საბჭოთა კავშირი არასამართლებრივი წარმონაქმნია, რომლის

მაშინდელმა "ბელადებმა" 1917 წლის ოქტომბერში მოახდინეს თებერვლის რევოლუციის შემდგომ არჩეული დამფუძნებელი კრების გარეკვა, რომ ავრორას სროლის შემდგომ ზამთრის სასახლეში არავითარ ბრძოლას ადგილი არ ჰქონია, რადგან მას იცავდა მხოლოდ ქალთა ერთადერთი ბატალიონი. არასამართლებრივია სსრკ იმიტომ, რომ მან მასში შემავალი ყველა რესპუბლიკები შემოიერთა დაპყრობის გზით, მანვე ძალით გააწითლა ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოები. (რომლებმაც, მადლობა ღმერთს, თავი დააღწიეს კომუნიზმის მარადმწვანე პერსპექტივას).

იმაზე, რომ თქვენი საზოგადოება არადემოკრატიული და საშიშია, მეტყველებს ის ფაქტი, რომ თქვენს პროგრამაში შავით თეთრზე სწერია: "<u>საზოგადოება "სტალინის" უმთავრესი და გადაუდებელი ამოცანაა ულმობელი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ</u>".

რა შეიძლება უწოდო ამას თუ არა ნოსტალგია 1937 წლისა, დიახ, თქვენი პროგრამის ამ მუხლს ძნელია სხვა სახელი დაარქვა, რადგან ამ ბრალდებით იმ უხსენებელ დროში "დიდი ბელადის" ბრძანებით მრავალი მგზებარე პატრიოტი დახვრიტეს ან გაუყენეს თეთრი დათვებისაკენ მიმავალ გზას.

ჩვენ, ქართველებს მძიმე ცოდვა გვადევს ღვთის წინაშე, რადგან ჩვენ ვართ ერი, რომელმაც შვა იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მიშა ცხაკაია და სხვანი, რომლებმაც არაერთი უბედურება მოუტანეს ქართველ ხალხს და მთელს კაცობრიობას მთლიანად, რომლებსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვით მსოფლიოს უბოროტესი იმპერიის ე.წ. საბჭოთა კავშირის შექმნაში, რომელმაც ათეულმილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მაშ ვილოცოთ და შევსთხოვოთ უფალს, რომ შეგვინდოს ქართველ ხალხს ის ცოდვები, რომლებიც ქვეყნად ასე მრავლად დაატრიალეს ჩვენი ეროვნების წარმომადგენლებმა. მხოლოდ ლოცვით, ღვთის სიყვარულითა და უკომპრომისო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლით შეგვძლიან ჩვენს სულიერ და ფიზიკურ გადარჩენას.

ვაჟა ქუნთელია (სედა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

რუსლან მიქაბერიძე
ეპიგრამები

ლაშა ბარბაქაძის ფოტო

კაცი ოდნავ თუ გაჩხრიკავს,
გაკვირვებით თუ ჩაიძევს,
სულ ადვილად გამოიცნობს
ვინ მფარველობს მუჩაიძეს?

X X X

გონებაჩლუნგების გარდა
სხვისთვის ყველასთვის ცხადია,
უნდა თუ არა დამპყრობელს
ხდება ის, რაც ხალხს სწადია,
უკვე დაიწყო რეჟიმის
ლპობის დასკვნითი სტადია.

X X X

აწ გარდასული ყრილობა
ჭკუის სასწავლი რამ არის,
სულ მახსენდება არაკი
კუზიანის და სამარის.

სახალხო ნატვრა

ისეთი წელი მოვიდეს
ლიპებს დაეკლოს წონაში,
ნაკლები დრო გაგვეფლანგოს
ჭამა-სმაში და წოლაში.
აღარ კვდებოდეს ქართველი
დანით ჩხუბში და სროლაში,
არ ელოდეს დღეები
მავთულხლართიან ზონაში.
დედა და მამა არ იყოს
სირცხვილის, შიშის მრწოლაში,
ჯან-ღონეს ზვარში ვხარჯავდეთ
სპორტულ გულის რჩოლაში.

ჩვენი ქალები სხვის ქალებს
ჯაბნიდნენ ბევრის ყოლაში.
სამშობლოს თავგადასავალს
სრულად სწავლობდნენ სკოლაში,
მრავალჟამიერს გალობდნენ
სისხლს რომ ამყოფებს ჟრჟოლაში,
გვახსოვდეს, როგორ გადავრჩით
ბედის ბორბალის სრბოლაში,
სუფრასთან რა ბიჭებიც ვართ
ის ვყოფილიყოთ ბრძოლაში!

რუსლან მიქაბერიძე

/ჰელსინკის კავშირი/

ინფორმაცია

მოსკოვი. საბჭოთა პრემიერმა რიჟკოვმა ნორვეგიის რადიოს კორესპონდენტთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ აზერბაიჯანელ და სომეხ მოსახლეობას შორის მომხდარი სისხლისმღვრელ შეტაკებებში ე.წ. "მთიანი კარაბახის" გამო მარტო ბაქოში მოკლული იქნა 34 ადამიანი. მან სთქვა: აზერბაიჯანის და სასომხეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ნამდვილი სამოქალაქო ომი ვერტმფრენებისა და ჯავშნოსნების გამოყენებით ორივე მხრიდან. ამიტომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების და საჯარისო ფორმირებების /10000ჯ-ცის რაოდენობით/ შეყვანის სრული საფუძველი არსებობს.

- -

აღმოსავლეთ ბერლინი. 10000-მა დემონსტრანტმა ალყა შემოარტყა სახელმწიფო უშიშროების შენობას და საშინლად დაარბიეს იგი. მათ მიმართ არ იქნა გამოყენებული ძალა.

გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ ერიხ ხონეკერის და ერიხ მილკეს /ადგილობრივი სუკი-ს თავმჯდომარე/ მიმართ აღძრულია ბრალდება სახელმწიფო ინტერესების ღალატის გამო, დამტკიცებისას მათ ელით სამუდამო პატიმრობა.

- -

სოფია. 15 იანვარს ბულგარეთის სახალხო კრებამ გააუქმა კომპარტიის მონოპოლია ძალაუფლებაზე, რომელიც არსებობდა 40 წლის განმავლობაში, კონსტიტუციაში იქნება შეტანილი შესაფერისი მუხლი მრავალპარტიულობის შესახებ. ამის საფუძველზე მოგვიანებით 1990წ. იქნება ჩატარებული თავისუფალი არჩევნები. 14იანვარს სოფიაში იქნა ჩატარებული მძლავრი - 60000-ნი ანტიკომუნისტური მიტინგი და მსვლელობა. მათ დაგმეს კომუნისტური რეჟიმი ბულგარეთში.

- -

პრაღა. პრაღაში მიმდინარეობს, მოლაპარაკება სსრკ-ს და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს შორის საბჭოთა ჯარების გაყვანის თაობაზე. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოთა ჯარები /75000ჯ-ცი/ უნდა იყოს გაყვანილი 1990წ. დასასრულამდე. პრაღას მახლობლად მთავარმა ანტიკომუნისტურმა გაერთიანებამ "სამოქალაქო ფორუმმა" ჩაატარა მასობრივი მიტინგი და მსვლელობა მოთხოვნით, რათა საბჭოთა ჯარები გაყვანილი იქნას ამა წლის აგვისტოს თვეში.

- -

ბუქარესტი. დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-მა ჰანს დიტრიხ ჰენშერმა ბუქარესტში ჩასვლისას განაცხადა, რომ დასავლეთ გერმანია გაუწევს რუმინეთს ვრძელვადიან ეკონომიურ დახმარებას, თუ რუმინეთის მთავრობა გაითვალისწინებს და გააუმჯობესებს გერმანელი მოსახლეობის მდგომარეობას, როგორც სამართლებრივი, ასევე ეკონომიური თვალსაზრისით.

უკიდურეს შემთხვევაში მათ მიეცეთ საშუალება გადასახლებისა დასავლეთ გერმანიაში.

შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი სტენ ანდერსონი და ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნდობით აღჭურვილი პირი ბ-ნი, უილიამ უოლდგრეივი იმყოფებიან ბუქარესტში მოლაპარაკების მიზნით, რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბ-ნ სირგიუ სელაკთან.

- -

თბილისი. მთავრობის სახლთან მიმდინარეობს ქართველთა აქცია დამოუკიდებლობის მოთხოვნით. 64 ადამიანი აგრძელებს შიმშილობას. ყოველდღე მიმდინარეობს მიტინგები. გამომსვლელები უცხადებენ უნდობლობას ადგილობრივ მთავრობას.

- -

პარიზი. 34 ქვეყნის წარმომადგენელი აწარმოებს მოლაპარაკებას საერთაშორისო ბანკის დაფუძნების მიზნით, რომელიც დახმარებას გაუწევს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. როგორც ბ-მა ფ.მიტერანმა განაცხადა: ჩვენ უნდა დავაჩქაროთ მოლაპარაკება, რათა მოვლენების განვითარების მიმდინარეობა შეიძლება აღმოჩნდეს მომავალში არახელსაყრელი. ბანკი კრედიტებით, ეკონომიურ-ტექნიკურ საშუალებებით გაუწევს დახმარებას: უნგრეთს, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, ბულგარეთს, რუმინეთს და აღმოსავლეთ გერმანიას.

- -

ვილნიუსი. ლიტვის კომპარტიის თავმჯდომარე ალგირდას ბრაზაუსკასი არჩეული იქნა ლიტვის პრეზიდენტად. მან შეცვალა ვიტაუტას ასტრაუსკასი, არაპოპულარული პოლიტიკური მოღვაწე. "ამხანაგმა" ბრაზაუსკასმა დაიცვა ლიტველი ხალხის ლტოლვა თავისუფლებისაკენ მ.გორბაჩოვის წინაშე.

- -

ტელ-ავივი. ისრაელის პრემიერმა ბ-მა იცხაკ შამირმა განაცხადა, რომ ისრაელმა უნდა შეინარჩუნოს დაპყრობილი ტერიტორიები, რადგან უახლოეს 3 წელიწადში ემიგრანტების ნაკადი სსრკ-დან გაიზრდება 300000 ადამიანამდე. ეს დაკავშირებულია აშშ-ს სავიზო პოლიტიკის გამკაცრებასთან.

მან სთქვა: რომ ისრაელს ხედავს მომავალში უფრო დიადს და ძლიერს. შრომის პარტიის ლიდერმა, პრემიერის მოადგილემ ბ-მა შიმონ პერესმა მხარი არ დაუჭირა ამ განცხადებას. მან სთქვა: რომ ისრაელმა უპირველეს ყოვლისა უნდა იზრუნოს მშვიდობაზე, რომ შემდეგში ისრაელმა შესძლოს ემიგრანტების მიღება.

- -

ვაშინგტონი. 1990წ. 15 იანვარს 61 წლის გახდებოდა მარტინ ლუტერ კინგი. მთელ ამერიკაში აღინიშნა მისი დაბადების თარიღი ეკლესიებში ზარის ცემით. წუთიერი დუმილით ამერიკელმა ხალხმა პატივი მიაგო მის ნათელ ხსოვნას.

- -

ვაშინგტონი. როგორც აღნიშნა აშშ-ს მთავრობის წარმომადგენელმა გაზეთ "ბალტიმორ სან-ის" ფურცლებზე სიტუაცია სსრკ-ში ხდება პარადოქსალური. სულ უფრო მეტად კრიზისული მდგომარეობაა, მაგრამ მ.გორბაჩოვის პოზიცია ამასთანავე მტკიცდება. სსრკ-ში ჯერ არ მოინახება მისი რეალური პოლიტიკური კონკურენტი, უფრო მეტიც, მათ არ გააჩნიათ ალტერნატიული სამოქმედო პროგრამა.

- -

მოსკოვი. მოსკოვში შეიქმნა "ადამონ ნიხასის" ე.წ. ფილიალი, რომელიც გააერთიანებს იქაურ ოსებს.

- -

თეირანი. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება. ამიერკავკასიაში შექმნილი სიტუაციის გამო. ირანმა მოუწოდა სსრკ-ს თავი შეეკავებინა შემდგომი სამხედრო ესკალაციისაგან. სსრკ-ს საზღვართან ირანმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, მაგრამ საზღვარზე გადასვლის მცდელობები ხალხის ჯგუფების კვლავ გრძელდება.

- -

სტამბოლი. თურქეთმა სსრკ-ს საზღვართან გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. ანკარაში, სსრკ-ს საელჩოსთან გაიმართა მძლავრი მიტინგი ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობის მიერ. მათ დაგმეს სსრკ-ს სამხედრო ჯარების ესკალაცია ამიერკავკასიაში.

- -

მოსკოვი. დეპუტატებმა აფანასიევმა და პოპოვმა დაგმეს ჯარების შეყვანა ამიერკავკასიაში. მათ განაცხადეს რომ აზერბაიჯანში შექმნილი სიტუაცია აგონებთ ავღანეთს.

- -

რადიო "ამერიკის ხმა" და "თავისუფლება"

მოამზადა კ.ჩოგოვაძე /სეჳპ/ 1990წ. 12-20 იანვარი

◆ ◆ ◆

გაზეთ"დროების" რედაქცია თანამოაზრეებს გიწვევთ სათანამშრომლოდ. თქვენ შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებით კ.ჩოგოვაძე 37-51-36, ვ.ქუნთელია 99-37-52; გ.თვალავაძე 39-09-40.

გაზეთის ნომერი მოამზადეს: კოტე ჩოგოვაძემ, /სეჳპ/
ვაჟა ქუნთელიამ, /სეჳპ/
გია თვალავაძემ /სეჳპ/
ფოტოები: ლაშა ბარბაქაძისა.

◆ ◆ ◆

ფასი 1 მან.